

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ილია ბაიდოშვილის ანგარიში 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წ 10 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წლის 3 დეკემბრიდან არჩეული ვარ საკრებულოს მაჟორიტარ წევრად მადარო , ილია წმინდას ამომრჩევლების მიერ , ხოლო საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.. ჩემი საქმიანობა გამომდინარეა თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს უფლებამოსილებიდან , რაც რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტებით,

ეს ყოველი განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის ინტერესების დაცვა , მათი ინტერესების გათვალისწინება და ჩემდამი გამოხატული ნდობის შენარჩუნება.

ვარ საკრებულოს ბიუროს წევრი და მ/ წლის მარტიდან ასევე საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრი, ვმონაწილეობ როგორც ბიუროს ასევე საკომისიო და სასესიო მუშაობაში . საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 13 სხდომა, ვესწრებოდი 12-ს, საკრებულოს ბიუროს 12 სხდომა, ვესწრებოდი 10-ს, ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 11 სხდომა, ვესწრებოდი -11-ს, მარტის თვიდან დავესწარი კომისიის -6 სხდომას, აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში

.საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან . ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ამომრჩეველი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას, ჯანდაცვის საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარეგანათების მოწყობას.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. მადაროში ისარგებლა 109 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 26930 ლარი.

კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (35 ბენეფიციარი) -17430ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (26 ბენეფიციარი) -3180 ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (3 ბენეფიციარი) -600 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (34ბენეფიციარი)- 4220 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(9 ბენეფიციარი) - 1200ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (2ბენეფიციარი) -300 ლარი;

სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ილიაწმინდაში ისარგებლა 54 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 9290 ლარი

.კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (9 ბენეფიციარი) -3950ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (6 ბენეფიციარი) -680 ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (3 ბენეფიციარი) -600 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (34ბენეფიციარი)- 3810 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(1 ბენეფიციარი) - 150ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (1ბენეფიციარი) -100 ლარი;

2022 წელს სოფელ ქვ. მადაროში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომლის ღირებულებაც 391 383 ლარი. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების მაქსიმალური ჩართვა სპორტის სახეობებში

.სოფ.მადაროში უკვე ფუნქციონირებს ძიუდოს სექცია, რომლის მიზანი ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაა.

ამჟამად სოფ. ქვ. მადაროში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ფოთოლანთ უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოები .მისი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 629 997 ლარს . სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 27 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 25

სოფ. ილიაწმინდაში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მისი ღირებულებაც 595 997 ლარი. სამუშაოები დაიწყო 2022 წლის 29 სექტემბერს და დასრულდება 2023 წლის 26 მარტს .

სოფელ მადაროსა და ილიაწმინდაში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, საქლორატორო და რეზერვუარები მოეწყო. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში 2022 წ დაგეგმილია: სოფ. ქვემო მადაროში გარე განათების მოწყობა, სოფ. ზემო მადაროში სასაფლაოს შემოღობვა, სოფ. ილიაწმინდაში გზისპირა მოსაცდელეების მოწყობა.

მართალია ჩემს საანგარიშო პერიოდთან და უაშუალო ჩემს დეპუტატობასთან არაა პირდაპირ კავშირში , მაგრამ აღსანიშნავია ის შედეგებიც , რითაც მადაროს მოსახლეობა სარგებლობს , როგორც მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებლები.

როგორც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას. რომელთაც ნებისმიერ დროს უშუალოდ ჩემთან შეხვედრა. მზად ვარ შრომისათვის, რათა თითოეულ ოჯახზე აისახოს ჩემი ძალისხმევითა და უკეთეს მომავალზე ზრუნვის შედეგი.

ამჟამად მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები , მათი უშუალო ჩართულობით და მათი აზრის გათვალისწინებით მოხდება მადაროს და ქვემო მადაროს სოფლების ქუჩების სახელდება. ვმუშაობთ , რათა დაჩქარდეს სოფელ ილიაწმინდას დამისამართების საკითხი.

აქტიურად ვთანამშრომლობ მერიის სამსახურებთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

მიმაჩნია, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია , რასაც დარჩენილ საარჩევნო ვადაში , განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით , თქვენი უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით დავძლევთ და მეც პირნათელად მოვიხდით თქვენს წინაშე აღებული ვალდებულებას.

ილია ბაიდოშვილი

10/10/ 2022 წ